

19. შეუწყვეთ სათანადო პირის ნაცვალსახელი ზმნას: ცურავს ...
 ა) მე ბ) შენ გ) ის
20. შეუწყვეთ სათანადო პირის ნაცვალსახელი ზმნას: დარბიხარ ...
 ა) მე ბ) შენ გ) ის

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (30 ქულა)

21. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:
 „პატარა ნაკადულის პირას დიდი, ლამაზი ყვავილი ამოვიდა.“
 ა) პატარა ბ) მშვენიერი გ) რუ
22. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:
 „ყვავილს მოსწყურდა, კაბა დაემტვერა და დასუსტდა.“
 ა) გამოიხედა ბ) გაუკვირდა გ) დაუძლურდა
23. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა:
 „სუსტი ხმა არ ესმოდა შორს წასულ ნაკადულს, და ამაყი ყვავილი უწყლოდ ჭკნებოდა მზის სიცხისაგან.“
 ა) თავმდაბალი ბ) გამარჯვებული გ) შერეული
24. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა:
 „გახედე ბაღს, როგორ საამურად აყვავებულია ალუჩა და ნუში!“
 ა) გახარებული ბ) გამხდარი გ) დამჭკნარი
25. რომელი არ არის საპირისპირო მნიშვნელობის წყვილი?
 ა) მშვიერი-შემინებული ბ) მალა-დაბლა გ) მუნწი-უხვი
26. რომელია მართებული აზრი?
 ა) ბატი სისინებს ბ) კატა ჭიხვინებს გ) მამალი კაკანებს
27. რომელი არ არის მართებული აზრი?
 ა) ცხელი თოვლი ბ) ცხელი წყალი გ) ცხელი ამინდი
28. რომელია უცხო ენიდან საჭიროების გარეშე შემოსული სიტყვა?
 ა) აქანდაზი ბ) ბრტყელტუჩა გ) სტოლი
29. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:
 „ ამ მდინარით _____ სოფლები რიგრიგობით ბოსტნებსაც, ვენახებსაც და სიმინდებსაც.“
 ა) რწყავდნენ ბ) ამრობდნენ გ) ახმობდნენ
30. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?
 „ ავადმყოფს მომვლელი შინაც არავინ ჰყავდა და ამიტომ მისი მორჩენა ძლიერ _____ იყო.“
 ა) იმედიანი ბ) საიმედო გ) ძნელი

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (10 ქულა)

31. დაასრულეთ ანდაზა: „ერთი თხილის გული ...“
 ა) არ არის საკმარისი ბ) ყველამ გადაყარა გ) ცხრა ძმამ გაიყო
32. დაასრულეთ ანდაზა: „ტყუილს ...“
 ა) ყოველთვის სიკეთე მოაქვსო ბ) მოკლე ფეხი აქვსო გ) სულ მოვისმენო
33. დაასრულეთ ანდაზა: „კარგი შვილი დედის ...“
 ა) გულის ვარდიაო ბ) შვილი არ არისო გ) სხვისი შვილიაო
34. დაასრულეთ ანდაზა: „თავმა თხარა თხარაო, ...“
 ა) თავი გამოთხარაო ბ) კატა გამოთხარაო გ) ვერა გამოთხარაო
35. დაასრულეთ ანდაზა: „დედა ნახე, მამა ნახე, ...“
 ა) შვილი ისე გამონახე ბ) დედა ისე გამონახე გ) მამა ისე გამონახე